ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1555805

ნომერი: AR1258243

თარიღი : 15.10.2014

გაცემის თარიღი : 23.10.2014

გაცნობის თარიღი : 24.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი I ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი საღარაძე პ/ნ 01008006718
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 80ბ ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამშენებლო ობიექტებს, საჭიროა სამრეცხაო ბოქსები განთვასდეს ისე, რომ მომსახურეობა არ იყოს აღქმადი ქუჩის მხრიდან, შესაბამისად მიწის ნაკვეთის საზღვრებში მათ დასაფარად განთავსდეს დახვეწილი სახით წარმოდგენილი ღობე. რისთვისაც საჭიროა დამატებით აირჩიოთ ნომენკლატურა "ღობის მშენებლობა" და წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟები, რომელიც დამუშავებული იქნება სახვადასხვა რაკურსიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე. ამასთანავე წარმოსადგენია:

- სიტუაციური გეგმა საპროექტო ადგილის და ავტოსამრეცხაო ბოქსებში შესვლა-გამოსვლის სქემის დატანით.
- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "ახალი პურის კომბინატი", რომლის დირექტორსაც სამეწარმეო რეესტრის თანახმად წარმოადგენს მოქ. გივი ანთელავა, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ მოქ. გიორგი საღარაძემ. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების ველში" აიტვირთოს მოქ. გივი ანთელავას მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე, ან ასევე შესაძლებელია მოქ. გივი ანთელავა დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.